პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 130 (6185)

5 ივლისი, ოთხშაბათი, ფასი 3 კაპ.

1978 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფსაბჭოთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საინფორმაციო ცნობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1978 წლის 3 ივლისს გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. ვ. შჩერბიცკი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ს. სოლომენცევი — რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დ. ა. კუნაევი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ა. ალიევი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ს. უ. მელუნოვი — სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ს. პრიეზუევი — სკკპ რიაზანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, შ. რ. რაშიდოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

4 ივლისის სხდომაზე გამოვიდნენ: ამხანაგები ვ. კ. მესხიაცი — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ა. მ. მაშეროვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ხ. ხ. ავრამენკო — სკკპ ამურის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ს. გორბაჩოვი — სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ნ. იგნატოვი — სკკპ ვორონეჟის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. თ. სინიცინი — სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრი, ე. ა. შევარდნაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ტ. კობზერევი — სკკპ ვოლგოგრადის ოლქის ლენინსკის რაიკომის პირველი მდივანი, ა. ე. ვოსი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად მიიღო დადგენილება ამ საკითხზე. ამით პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ვინ უფრო უკეთესად?

საქართველოს სპორტკომიტეტში

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა საბჭოთა ხალხის სპორტული ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი ფიზკულტურასა და სპორტში მობოლებულ მიღწევათა დემონსტრაცია, ადამიანთა ყოველმხრივი განვითარებისთვის პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა. ეს სპარტაკიადა განსაკუთრებულია იმიტომაც, რომ იგი მოსკოვის XXII ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი წლით აღრე ეწყობა და მასში საბჭოთა ათლეტების გარდა ათასობით უცხოელი სპორტსმენი იასპარეზებს.

საქართველოს სპორტის მოყვარულებში უდაოდ დიდ ინტერესს იწვევს ჩვენი რესპუბლიკის VII სპარტაკიადაც, რომელმაც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილე საქართველოს სპორტული დელეგაციის საბოლოო შემადგენლობა უნდა დაასახელოს და რომელიც მომავალი ოლიმპიადისთვის მზადების მნიშვნელოვანი ეტაპია.

სასპარტაკიადო სტარტების, საქართველოს სპორტსმენთა მზადების, რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის ფართო პროპაგანდისა და პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს სპორტკომიტეტმა გადაწყვიტა 1978-79 წლებში ჩაატაროს სპორტულ ჟურნალისტთა სასპარტაკიადო კონკურსი.

პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადების უკეთ გაშუქების მიზნით რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა სასპარტაკიადო კონკურსის

დებულება

საქართველოს სსრ VII და საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადები 1978-79 წლებში ეწყობა. მათი მიზანია ფიზკულტურული მოძრაობის მასობრივი განვითარება, საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის კიდევ უფრო ამაღლება, 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშებისთვის წარმატებით მომზადება. ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყნის ეს უდიდესი სპორტული ფორუმები საქართველოსა და საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მიღწევათა დათვალიერება, მოსკოვის ოლიმპიადისკენ მიმავალი გზის მნიშვნელოვანი ეტაპია.

კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული გაზეთების რედაქციებს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, ცალკეულ ავტორებს.

აი, როგორია საკონკურსო თემები.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა ძალის, სილამაზის, სიჭაბუკის საყოველთაო ზეიმია; სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა საბჭოთა ადამიანების ურღვევი მეგობრობის დადასტურებაა; საქართველოს სსრ VII სპარტაკიადა მაღალი სპორტული ოსტატობისა და მასობრიობის, როგორც ფიზკულტურული მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებლის მიღწევის მნიშვნელოვანი ეტაპია; ფიზკულტურის კოლექტივი მასობრივი სპორტის ძირითადი რგოლია; რაიონული, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებები — სპარტაკიადის ალმით; რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადება ფინალური სტარტებისთვის; სპარტაკიადების მონაწილეთა მიერ სპორტსმენის მაღალი მორალური და ნებელობითი თვისებების გამოვლინება; ფიზკულტურასა და სპორტში მასობრივად ჩაბმის როლი მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისთვის შრომითი აქტივობის ამაღლების საქმეში; ოლიმპიელები ჩვენს შორისაა; საქართველოს სსრ VII სპარტაკიადა მარტო შეჯიბრება კი არა, ახალი სპორტული ბაზების მშენებლობა, სასწავლო-ალმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება, კოლექტივების ორგანიზაციული განმტკიცება.

ჟურნალისტთა სასპარტაკიადო კონკურსი ორ ტურად ეწყობა. პირველი (1978 წ.) მოიცავს რაიონულ, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ სპარტაკიადებს. მეორე (1979 წ.) — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალური სტარტებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების მზადებისა და სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების გაშუქებას.

1979 წელს კონკურსის შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება მასალების შინაარსი და ხარისხი, ჟანრთა სხვადასხვაობა, შემოქმედებითი ძიების სიღრმე, პროფესიული ოსტატობა. განსაკუთრებით აღინიშნება რედაქციის მიერ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და ოლიმპიადა 80-სადმი მიძღვნილი ორგანიზაციულ-მასობრივი ღონისძიებები (ლაშქრობების, გადარბენების, ესტაფეტების, შეკრებების, შეჯიბრებების მოწყობა, გაზეთების რედაქციების, ტელე და რადიოგადაცემათა თემატური გვერდების, ცალკეული მასალების გაცვლა).

ჟიურის განსახილველად უნდა წარედგინოს გაზეთები, ჟურნალები ან ალბომები ჩაკერებული ამონაჭრებით, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტი საკონკურსოდ წარადგენს იმ საუკეთესო გადაცემებსა და სიუჟეტებს, რომლებიც საკონკურსო პერიოდს შეესაბამებიან.

საკონკურსო მასალები წარედგინება კონკურსის ჟიურის (საქართველოს სპორტკომიტეტში) 1979 წლის 1 სექტემბრამდე.

გამარჯვებულთა დაჯილდოება

კონკურსში გამარჯვებულნი — რესპუბლიკური, ახალგაზრდული, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციები ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტულ გადაცემათა რედაქციები — დაჯილდოვდებიან საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელებითა და სამახსოვრო მედლებით.

კონკურსში გამარჯვებული ჟურნალისტი (პუბლიცისტური სტატიების, ნარკვევების, ფოტოსურათების, რეპორტაჟების, ტელენარკვევების ავტორი) დაჯილდოვდება საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით, სამახსოვრო მედლითა და ფასიანი საჩუქრით (50 მანეთამდე).

მეორე ადგილზე გასული სპორტული ჟურნალისტი დაჯილდოვდება სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით, სამახსოვრო მედლითა და ფასიანი საჩუქრით (40 მანეთამდე);

მესამე პრიზიორი მიიღებს საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელს, სამახსოვრო მედალსა და ფასიან საჩუქარს (30 მანეთამდე).

კონკურსში აქტიურად მონაწილე ცალკეული რედაქციები და ჟურნალისტები დაჯილდოვდებიან საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელებით.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

მეშვიდე გამარჯვება

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ხერსონში დამთავრდა „დინამოს“ (ცენტრალური საბჭოს პირველობა ჭაბუკ კალათბურთელთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ ბელგოროდის, ჩელიაბინსკის, ფრუნზეს, მოსკოვის, ხარკოვისა და თბილისის დინამოელები.

შეჯიბრება წრიული სისტემით გაიმართა. ქართველმა ჭაბუკებმა ოთხი მატჩი მოიგეს და ერთი ფრედ ითამაშეს ჩელიაბინსკის გუნდთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი შეხვედრა ბელგოროდის კოლექტივთან, რომელიც, როგორც შეჯიბრებამაც აჩვენა, სხვებზე ძლიერი იყო (II ადგილი). სხვათა შორის ამ გუნდის სამი კალათბურთელი სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების კანდიდატია. ორი მათგანის სიმაღლე (ს. სმაგინი, ს. ლაპტევი) 2 მეტრს აღემატება. ა. გონჩაროვი კი (მესამე ძმა იმ ორი უფროსისა, რომლებიც მოსკოვის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში თამაშობენ) უკვე მიწვეულია მოსკოვის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდში. ეს მატჩი დასრულდა ანგარიშით 59:54 თბილისელთა სასარგებლოდ. ბელგოროდელი სპორტსმენები ამ შეხვედრაში ერთხელაც არ დაწინაურებულან.

ტურნირის დაძაბულობაზე მეტყველებს ისიც, რომ ბოლო ტურამდე საპრიზო ადგილების ბედი გაურკვეველი იყო. მოსკოვის გუნდთან გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი თბილისელ სპორტსმენებს რჩებოდათ. შეხვედრა ძალზე კარგად წარმართეს ჩვენმა კალათბურთელებმა, რაზედაც ანგარიშიც ნათლად მეტყველებს — 63:42.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ რვა ამგვარ შეჯიბრებაში ეს თბილისელთა რიგით მეშვიდე გამარჯვებაა. და კიდევ ერთი. გუნდების საშუალო სიმაღლის მიხედვით ქართველი კალათბურთელები საკმაოდ ჩამორჩებოდნენ დანარჩენებს (მაგალითისთვის: მოსკოვი — 193,1; ფრუნზე — 192,6; ბელგოროდი — 191,9 თბილისი — 188,1). ყველაზე მცირე იყო თბილისელების საშუალო ასაკიც. რა თქმა უნდა, ამგვარი ტურნირები პირველყოვლისა დიდი კალათბურთის რეზერვის დათვალიერების თვალსაზრისით არის საინტერესო. სწორედ ასეთ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ნ. დერიუგინი, რ. გარუჩავა, ლ. გულდეიანი, ი. ჯანაშია და სხვები. რა შეიძლება ითქვას ჩვენს გუნდზე?

უთუოდ პერსპექტიული კალათბურთელია ᲗᲐᲛᲐᲖᲘ გელბახიანი (200 სმ), რომელმაც წლევანდელი სეზონი თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში ითამაშა. აღსანიშნავია 14 წლის მ. საბახტარაშვილი (194). მასზე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ სპეციალისტები. თუმცაღა, ამ ორი კალათბურთელის შემდგომი დაოსტატება მათს შრომისმოყვარეობაზე იქნება დამოკიდებული.

კარგად ითამაშეს ზ. ლონღაძემ, დ. ჯაფარიძემ და ᲗᲐᲛᲐᲖᲘ ჩაჩხიანმა, რომელთა ანგარიშზე გუნდის მიერ მოპოვებული ქულების ნახევარზე მეტი მოდის. გუნდის გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანეს ზ. გურგენიძემ, თ. ბაბუნაშვილმა, ზ. გოცირიძემ და სხვებმა.

თბილისის ჭაბუკ დინამოელთა ნაკრებს ამზადებდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ლ. ინწკირველი (უფროსი მწვრთნელი) და მწვრთნელი ა. კილაძე. ახალგაზრდა კალათბურთელთა აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს გ. ავალიშვილს.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲘᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲔ



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ძალსნობისა და ფარიკაობის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის დარბაზში მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ჰუმანიტარულ-ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის მოფარიკავეთა პირად-გუნდური შეჯიბრება, რომელიც „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ინიციატივით ეწყობა.

თბილისში სასპარეზოდ ჩამოვიდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერესი სტუდენტი-მოფარიკავეები.

უკვე გაიმართა ხმლით მოფარიკავეთა ტურნირი, სადაც 69 მონაწილე გამოდიოდა. პირად შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ჩვენი რესპუბლიკის მუშკეტერებმა — ფინალში ერთდროულად 6 ქართველი სპორტსმენი გავიდა. აქ საუკეთესო იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი თ. ესართია. მან ჩინებულად წარმართა ფინალური ორთაბრძოლები, ზედიზედ ხუთი შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე ასევე პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი გ. პაიჭაძე გავიდა, მესამე იყო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გ. ბუხაიძე.

გუნდურ შეჯიბრებაში ტექნიკურ სასწავლებლებს შორის უძლიერესი იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები, ფიზკულტურის ინსტიტუტებს შორის კი — ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებელი.

ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲧᲐᲛᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: თბილისელი ი. დავითაშვილისა და ბაკოელი ვ. პოპოვის ორთაბრძოლის მომენტი (გაიმარჯვა ქართველმა მოფარიკავემ). ა. კოტორაშვილის ფოტო.

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ფარიკაობაში შ. დარასელია დაჯილდოდა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით.

„ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს მესამე პლენუმი

...ახლა მეტია საჭირო

სპორტსაზოგადოებების, უწყებების, ყველა ფიზკულტურული ორგანიზაციის გადაუდებელ ამოცანას მუდამ წარმოადგენდა მშრომელთა და მოსწავლეთა შორის, მოსახლეობაში გამჯანსაღებელი ღონისძიებების მაღალ დონეზე დაყენება, ფიზკულტურული მუშაობის სათანადოდ გაშლა, მაღალი თანრიგის სპორტსმენების აღზრდა, რომლებსაც თავიანთი კოლექტივის ღირსებისთვის ბრძოლა შეეძლებოდათ სხვადასხვა შეჯიბრებაში.

ცხადია, ეს ამოცანები კიდევ უფრო განმტკიცდა და ახალი მნიშვნელობა შეიძინა განსაკუთრებით საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების შემდეგ, რომელმაც რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობის შესახებ იმსჯელა და სათანადო ღონისძიებაც დასახა, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების დღის წესრიგს დაემატა კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ფართოდ გაშლის შესახებ.

XXII ზაფხულის ოლიმპიადის ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ჩატარება საბჭოთა სპორტულ დელეგაციას მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს.

სპორტსაზოგადოებები, უწყებები, ფიზკულტურის კომიტეტები პერიოდულად მსჯელობენ რა კეთდება ოლიმპიადის ღირსეულად შეხვედრისთვის, რა მიღწეული და რა ნაკლი აქვთ.

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ამერკავკასიის რკინიგზის „ლოკომოტივის“ საბჭოს III პლენუმიც, რომელზეც მოხსენებით „ოლიმპიური რეზერვის მომზადებაში ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ“ გამოუდა საგზაო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. გოშაძე.**

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარე **ი. სტურუა,** ერევნის რაისაბჭოს ინსტრუქტორი **ა. მოფორიანი,** საზოგადოება ბავშვთა ცურვისა და ჭიდაობის სპორტული სკოლების დირექტორები **ო. ურუშაძე** და **ვ. შახბაზოვი,** მწვრთნელი კრივში **ვ. სარქისიანი,** რკინიგზის სასწავლო გაყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი **რ. ჩალაბოვი** და თბილისის რკინიგზის ტექნიკუმის ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი **ი. ეგნატაშვილი.**

პლენუმზე ითქვა, რომ დღეისთვის სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში 13 ამერკავკასიის რკინიგზელია 8 ოლიმპიურ სახეობაში, მათგან ოთხი ძირითად შემადგენლობაში ირიცხება. „ლოკომოტივის“ ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა შარშან ცუდად როდი იმუშავეს — გეგმიური თერმეტის ნაცვლად 17 სპორტის ოსტატი მოამზადეს: ორით გადაამეტეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების აღზრდის გეგმას (5); ი. ვართანიანმა ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე მსოფლიო რეკორდი დამყარა; თ. ომნაიშვილმა მესტენდურეთა კონტინენტის ჩემპიონატში გუნდურ ჩათვლაში ოქროს მედალი მიიღო; გ. ჭილაშვილმა ძიუდოში საკავშირო პირველობა მოიგო; სხვა 5 ლოკომოტიველი საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორები გახდნენ.

საგზაო საბჭოს წინაშე წლეულს უფრო გაზრდილი გეგმებია დასახული — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი ექვსმა კაცმა უნდა შეასრულოს, თანაც ისეთი მაჩვენებლებით, რომ სამს მაინც ქვეყნის ნაკრებში დამკვიდრება და მედლის მოპოვება შეეძლოს.

— ეს იოლი ამოცანა როდია, — ამბობს გოშაძე. — მისი გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე თუ როგორ იმუშავებენ სპორტული სკოლები, კოლექტივები. საგზაო საბჭოს 4 ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა აქვს, რომლებშიც 1500-ზე მეტი სპორტსმენი ვარჯიშობს. ახლანდელ ოლიმპიურ ციკლში, განსაკუთრებით შარშან ეს სკოლები ერთგვარად გააქტიურდნენ. მაგალითად თუ შარშანწინ მათ თითქმის არცერთი სპორტის ოსტატი არ მოუმზადებიათ, შარშან 7 ოსტატი აღზარდეს, იმატა ამ სკოლებიდან ოლიმპიური რეზერვის ნაკადმა: ქვეყნის ნაკრების კანდიდატები არიან ძიუდოისტი გ. ჭილაშვილი, კლასიკური სტილის მოჭიდავე ა. გიჯაშვილი, მოცურავე — ხ. ცხვარაშვილი და სხვები.

მაგრამ, როგორც პლენუმზე ითქვა, ამ სკოლების შესაძლებლობანი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული, ვინაიდან სპორტსკოლების მუშაობის ორგანიზაცია სათანადო დონეზე არ დგას.

ითქვა რომ ამერკავკასიის რკინიგზის სასწავლო დაწესებულებების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლას ბოლო წლებში არცერთი სპორტის ოსტატი არ მოუმზადებია. კარგად ვერც სპორტსმენ-თანრიგოსანთა რიგების გამრავლებისთვის იბრძვის. ასეთივე მდგომარეობაა საწყლოსნო სახეობების სპორტსკოლაში. მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ სკოლაში დაბალია მწვრთნელთა მიმართ მომთხოვნელობა, ჩამორჩება სასწავლო საწვრთნო და აღმზრდელობითი პროცესი, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას არავითარი ყურადღება არ ეთმობა.

პლენუმის მუშაობას წმოელ ზოლად გასდევდა ის აზრი, რომ ნიჭიერი ახალგაზრდების შერჩევაში დიდი როლი ენიჭება საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის კარგ ორგანიზაციას, განსაკუთრებით თუ იგი ზოგადსაგანმახათლებლო სკოლებთან კავშირში ხდება.

ისიც ითქვა, რომ რკინიგზის სკოლებში სპორტის სახეობების მიხედვით სპეციალიზებული კლასების შექმნას გახანგრძლივებული დღის სწავლებით საშეელი არ დაადგა. არა და, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ეს აუცილებელია მაღალი სპორტული მიღწევებისთვის.

ო. გოშაძე დაწვრილებით შეჩერდა ოლიმპიური მზადების საყრდენი პუნქტების როლსა და მნიშვნელობაზე. თქვა, რომ ამერკავკასიის საგზაო საბჭოში სამი ასეთი პუნქტია შექმნილი — სასტენდო სროლასა და თავისუფალ ჭიდაობაში — თბილისში, კრივში — ერევანში.

მესტენდურეებსა და მოკრივეებს მუშაობაში ვერ დავემდურებით, მათ შარშან ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და ორი სპორტის ოსტატი აღზარდეს, სხვა რეზერვებიც გაიჩნიათ, მაგრამ მოჭიდავეთა შესახებ ამას ვერ ვიტყვით. მისი მწვრთნელები ძველი ყაიდით, უინიციატივოდ მუშაობენ, ვერ იყენებენ წვრთნის მოწინავე მეთოდებს, ვერ უზრუნველყოფენ თანამედროვე დატვირთვით სპორტსმენების წვრთნას, — ამბობს მომხსენებელი.

პლენუმზე ლაპარაკი იყო იმაზე, რომ რაისაბჭოების, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს მაღალეფექტური საწვრთნო პროცესისთვის საჭირო პირობების შექმნას.

სპორტული შედეგების ზრდის საუკეთესო საზომია შეჯიბრებებსა და სპარტაკიადებში მოპოვებული მაჩვენებლები. რკინიგზელებთან ამ მიმართებითაც ერთგვარი წინსვლა იგრძნობა. შარშანდელ II საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში [illegible] გამოდიოდა, [illegible] ჩემპიონატში 56,5 [illegible] ადგილით მეტი, ვიდრე პირველ თამაშებში. მაგრამ საქმე ის არის, რომ მათგან 12 თბილისელი და მხოლოდ ერთი სამტრედიელი იყო. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქების (მათ შორის ქუთაისის) რკინიგზელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ოლიმპიადის წინ სპორტსმენთა სერიოზული გამოცდა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში მოეწყობა. მანამდე რესპუბლიკური კომპლექსური შეჯიბრებები გაიმართება. აი, სწორედ იქ გამოჩნდება, რომელ საზოგადოებას როგორ უმუშავია VI სპარტაკიადის შემდეგ გასულ პერიოდში.

პლენუმზე გააკრიტიკეს თბილისის რკინიგზის ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელიც წლების განმავლობაში ვერ ზრდის ოსტატებს. ლაპარაკი იყო სპორტული ბაზების მდგომარეობაზე. ითქვა, რომ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი, დიღომში სასწავლო-საწვრთნო და ზაპკესთან სანიჩბოსნო ბაზები, სამტრედიის საცურაო აუზი, რომელსაც მხოლოდ ფეხბურთის მინდვრის მოსარწყავი წყლის რეზერვუარად იყენებენ (?!). მომხსენებელსა და მოკამათეებს არც იმის თქმა დავიწყებიათ, რომ მთელი რიგი ბაზები სრული დატვირთვით არ მუშაობენ...

პლენუმმა XXII ოლიმპიური თამაშებისთვის ამერკავკასიის რკინიგზელ სპორტსმენთა მზადების გასაუმჯობესებლად დასახა ღონისძიება.

პლენუმზე ინფორმაციით „პლენუმებს შორის „ლოკომოტივის“ ამერკავკასიის საგზაო საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ“ გამოვიდა ამ საბჭოს საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე **ს. რამინიშვილი.**

მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

ასპარეზობენ ნორჩი მოჭიდაკეები

მოსწავლეთა XXX რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით ბათუმში ჩატარდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრება.

საასპარეზოდ გამოვიდა 15 გუნდის 150-მდე სპორტსმენი.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ნორჩმა ქუთაისელმა მოჭიდავეებმა, რომლებმაც თბილისის გუნდს (64 ქ) ორი ქულით გაუსწრეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილი ერგო აჭარის ნაკრებს (36 ქ).

უნდა აღინიშნოს გამარჯვებული გუნდის მწვრთნელის ჯ. კოსტავას ნაყოფიერი მუშაობა. მისმა აღსაზრდელებმა ბოლო პერიოდში რამდენიმე დიდი გამარჯვება მოიპოვეს. ბათუმში ოთხი ქუთაისელი გახდა ჩემპიონი, ხუთმა კი საპრიზო ადგილი დაიკავა.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ყვარელში მოიყარეს თავი, სადაც ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა 16 გუნდის 200-ზე მეტი სპორტსმენის ორთაბრძოლები. გუნდური გამარჯვება მოიპოვა თბილისის ნაკრებმა (მწვრთნელი ვ. ნიკოლაძე), მეორე ადგილზე გავიდა აჭარის გუნდი, ხოლო მესამეზე — ქუთაისელი მოჭიდავეები. რა გვიჩვენა დამთავრებულმა შეჯიბრებებმა?

პირველ რიგში, შესამჩნევი იყო ქუთაისელი სპორტსმენების დამაჯერებელი გამოსვლა, რომლებმაც ტოლი არ დაუდეს თავიანთ თბილისელ თანატოლებს. გამოჩნდნენ პერსპექტიული მოჭიდავეები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათთან სერიოზული მუშაობით საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე კარგი შედეგების მოპოვება შეიძლება.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით საბოლოოდ დაკომპლექტდა რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდები, რომლებიც ტაშკენტში, საკავშირო სპარტაკიადაში იასპარეზებენ.

ბ. თათეიშვილი.

ტექნიკური შედეგები

კლასიკური სტილი. 45 კგ. რ. გულმამედოვი (თბილისი), ა. ბოლქვაძე (აჭარა), ყ. ქარქუსაშვილი (თბილისი); 48 კგ. მ. ასათიანი, გ. ლაბარტყავა (ორივე — ქუთაისი), ა. ციქვაძე (ხაშური); 52 კგ. თ. მუხიგულაშვილი (თბილისი), ლ. ჩეჩელაშვილი (ქუთაისი), გ. ითაშვილი (გარდაბანი); 56 კგ. კ. ხარშილაძე (თბილისი), რ. აფხაზავა (ქუთაისი), ა. დავითაძე (აჭარა); 60 კგ. გ. ბოხუა (ქუთაისი), ე. დიდმანიძე (აჭარა), გ. ხაბელაშვილი (თბილისი); 65 კგ. გ. მერებაშვილი (თბილისი), მ. კოპალიანი (ქუთაისი), თ. კახაბერიძე (აჭარა); 70 კგ. მ. ფანჩულიძე (თერჯოლა), ი. ხარებაშვილი, ვ. ბიბილურიძე (ორივე — თბილისი); 75 კგ. ჯ. ტატუნაშვილი, თ. ნიკოლაიშვილი (ორივე — მახარაძე), ა. ტუღუში (აჭარა); 81 კგ. ე. ტუხაშვილი (თბილისი), მ. ტურაბელიძე (ქუთაისი), შ. მკალვია (მახარაძე); 87 კგ. დ. დავითური (თბილისი), ლ. ჩაკვეტაძე (ქუთაისი), გ. ითაშვილი (გარდაბანი); 97 კგ. უ. თედორაძე (ქუთაისი), ლ. წულუკიძე (აჭარა), გ. გელეხური (თბილისი); მძიმე წონა. დ. კორძაძე (ქუთაისი), რ. ელკანიშვილი (თბილისი), ლ. ხვედელიძე (ცქალტუბო).

თავისუფალი სტილი. 45 კგ. ჯ. ტატუაშვილი (თბილისი), მ. ოზომაშვილი (ყვარელი), ვ. ხუციევი (სამხრეთ ოსეთი); 48 კგ. პ. კაკაბაძე, თ. ზოზრაშვილი (ორივე — თბილისი), ზ. ჯალალიანი (აჭარა), 52 კგ. ბ. კაკალაძე (აჭარა), ვ. შანშიაშვილი (თბილისი), მ. ჯიოევი (გორის რაიონი); 56 კგ. თ. ახვლედიანი (აჭარა), გ. გოგრიჭიანი (თბილისი), ნ. გოგოლაძე (ცალკა); 60 კგ. ვ. გილაური (მცხეთა), გ. სალხუციშვილი (თბილისი), შ. შალამბერიძე (მაიაკოვსკი); 65 კგ. ბ. ღვინჯილია (აფხაზეთი), ზ. იაშვილი, გ. გავაშელაშვილი (ორივე — ონი); 70 კგ. ქ. სხირტლაძე (თბილისი), ლ. სირაძე (ქუთაისი), ი. ჩადუნელი (ყასპი); 75 კგ. ლ. გოგიბერდაშვილი (თბილისი), ო. ვეფხვაძე (ორჯონიკიძე), ა. ზურნაჩიანი (რუსთავი); 81 კგ. მ. კოკოევი (სამხრეთ ოსეთი), ჯ. ზუბიაშვილი (თბილისი), შ. ნარიკაევი (ყასპი); 87 კგ. მ. რევაზიშვილი (თბილისი), ა. გიორგაძე (ორჯონიკიძე), ი. ნიქაბაძე (ქუთაისი); 97 კგ. მ. კაკარაკა (აფხაზეთი), მ. ციციშვილი (ქუთაისი), კ. ვაშაკიძე (სამტრედია); მძიმე წონა. პ. ჰაპიაშვილი (თბილისი), პ. გოქსაძე (ცქალტუბო), ა. კახაძე (ქუთაისი).

ჭიდავ 0,6 წამით

სასიხარულო ცნობა მოვიდა ლატვიის ქალაქ ვალმიერადან, სადაც გაიმართა ახალგაზრდა სოფლის მძლეოსანთა საკავშირო პირად გუნდური შეჯიბრება: ქალთა შორის 800 მეტრზე რბენაში იმარჯვა ახმეტელმა ლ. წინწალაშვილმა, რომელიც რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში სწავლობს. მან საქართველოს ახალოლუტური რეკორდი დამყარა —2.12,2. ეს შედეგი ამას წინათ მის მიერვე თბილისში დამყარებულ რეკორდს 0,6 წამით სჯობს.

წინწალაშვილის თანაგუნდელმა, ახალციხელმა ნ. ჭაღიაშვილმა (ორივეს გ. გოხალაშვილი ავარჯიშებს) დისტანცია 2 წუთსა და 13,6 წამში დაფარა. ზუსტად ასეთი იყო რ. შჩიკოვსკაიას ადრინდელი რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც 1967 წელს დამყარდა. ჭაღიაშვილმა V ადგილი მოიპოვა.

ჰაბუკთა შორის II ადგილები მოიგეს: რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის მოსწავლემ ო. წიკლაურმა — 110 მეტრზე თარჯრბენში — 16,0 და ახალციხელმა ი. ლევიტმა — 2000 მეტრზე წინაღობებით რბენაში — 6.22,5. საქართველოს სოფლის ჰაბუკთა ნაკრებმა 4X100 მეტრზე ესტაფეტაში 45,2 წამი აჩვენა და III ადგილი დაიკავა. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ვ. სელიხოვი, ა. მექვაბიშვილი, ა. ფოჩხუა და ო. წიკლაური.

გუნდურ ტურნირში, რომელშიც 15 რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივები გამოდიოდნენ, საქართველოს წარგზავნილებმა VII ადგილი დაიკავეს.

* * *

ხურათზე: საქართველოს რეკორდსმენი ლ. წინწალაშვილი ფინიშთან.

ჯანჯღენიდან სტადიონამდე

გორი

სპორტის ეროვნული სახეობა — ლელობურთი ბოლო ხანებში პოპულარული გახდა გორში. გორელმა ლელობურთელებმა ამას წინათ იასპარეზეს საქართველოს ახალგაზრდული თამაშების პროგრამით, რომელიც ქუთაისში გაიმართა და მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პირველობაშიც თელავში.

ლელობურთელთა წვრთნასა და მომზადებაში დიდი ამაგი მიუძღვის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის უფროს მასწავლებელს ს. ვაშაკიძეს.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

ჰიათურა

სპორტკომბინატ „მადაროელის“ დარბაზში დამთავრდა „განთიადის“ საქალაქო საბჭოს სპარტაკიადიდან გათვალისწინებული შეჯიბრება, რომელშიც თოთხმეტი ფიზკულტურული კოლექტივის გუნდი გამოდიოდა. პირველობა ორავის დაეკუთვნა სამთომადნო კომბინატის ცენტრალური ელექტრომექანიკური საამქროს გუნდმა (ფიზკულტურის მეთოდისტი ზ. შარიქაძე), მეორე ადგილი წილად ხვდათ ახალი ითონისის მადაროთა სამმართველოს ფრენბურთელებს, ხოლო მესამე — ლენინის სახელობის მადაროთა სამმართველოს სპორტსმენებს.

დაკომპლექტდა „განთიადის“ საქალაქო საბჭოს ფრენბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც რესპუბლიკურ შეჯიბრებაში ისპარეზებს.

რ. თურმანიძე.

„კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე

ვანის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჩაატარა მშრ. კომპლექსის მრავალჭიდელთა შეჯიბრება „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. ტურნირში I, II და III საფეხურების ნიშნოსნები მონაწილეობდნენ. სულ სტარტზე 19 კოლექტივი გამოვიდა.

საშუალო სკოლების გუნდების შეჯიბრება მოიგო შუამთის სკოლის ნაკრებმა (დირექტორი მ. ბრეგვაძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი ლ. გოგიბერიძე), მომდევნო სპრიზო ადგილები ერგოთ სპარასიისა და ისრითის სკოლების გუნდებს.

რვაწლიანი სკოლების მოსწავლეთა შორის იმარჯვეს ზაენდრელებმა, მეორე ადგილზეა დიბაშხოს, ხოლ[illegible] მესამეზე — მიქელეფონის სპორ[illegible] სმენები.

ტურნირს თავი აარიდეს უნუ[illegible]ის, სულორის, ყუმურის, ცი[illegible] სულორის, ინაშაურის, ბზვანისა [illegible] გადიდის კოლექტივებმა.

ი. ნიკოლეიშვილი.

ფეხბურთი

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

სტატისტიკის მოყვარულთათვის მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XIV ტურის შეხვედრათა ტექნიკური მონაცემები.

„დინამო“ მ. — „ნეფთჩი“ 1:0. დინამოელებს გამარჯვება მოუტანა მაქსიმენკოვის მიერ 87-ე წუთზე შესრულებულმა ზუსტმა დარტყმამ.

გაფრთხილებული არიან დინამოელები ნიკულინი და მაქსიმენკოვი.

დუბლიორები — 0:0.

„შახტიორი“ — „ზენიტი“ 1:0. გოლი გაიტანა რეზნიკმა.

დუბლიორები — 0:1.

„დნეპრი“ — „ტორპედო“ 2:0. ორივე ბურთი ავტოქარხნელთა კარში გავიდა შესვენებამდე (უსენკო, კრამარენკო).

დუბლიორები — 0:0.

„დინამო“ კ. — „ფახთაკორი“ 2:2. ბლოხინის მიერ 23-ე წუთზე გატანილი გოლი გაქვითა ანმა, ხოლო შემდეგ ისაკოვმა წინ გაიყვანა „ფახთაკორი“. კიეველები წაგებას გადაარჩინა იმავე ბლოხინმა.

გაფრთხილებულია ტაშკენტელი ზაგუმენნი.

დუბლიორები — 3:1.

„ჩერნომორეცი“ — ცსკა 4:0. 2 ბურთი გაიტანა შევჩენკომ, თითო — შეპელმა და დოვბიომ.

გაფრთხილებული არიან კაჩური, შეპელი („ჩერნომორეცი“) და შვეცოვი (ცსკა).

დუბლიორები — 1:0.

„ზარია“ — „არარატი“ 1:0. ერთადერთი გოლი გაიტანა სოროკალეტმა.

დუბლიორები — 2:0.

●

პირველი ლიგა

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში აშხაბადის „კოლხეთზენიმ“ და ორჯონიკიძის „სპარტაკმა“ თამაშეს 0:0 და არა 2:0, როგორც ადრე ვიტყობინებოდით.

●

მეორე ლიგა

IV ზონა

2 და 3 ივლისს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები:

„პროგრესი“ (ციროვაბადი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:0, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „დინამო“ (სოხუმი) 4:1, „გასტელო“ (უფა) — „დილა“ (გორი) 1:0, „გაზოვიკი“ (ორენბურგი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:0, „ტურბინა“ (ნაბერეჟნეი ჩელნი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:0, „ზვეზდა“ (პერმი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 2:0, „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0, „დინამო“ (ციროვი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 5:2, „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 3:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 2:1, „ავტომობილისტი“ (ბაკო) — „დინამო“ (ბათუმი) 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზენიტი“	23	14	4	5	37—13	32
„შირაკი“	23	10	8	5	41—25	28
„გურია“	23	10	6	7	33—26	26
„ტორპედო“	23	10	6	7	28—20	26
„დრუჟბა“	23	11	3	9	30—20	25
„კოტაიკი“	23	11	3	9	29—32	25
„ზენიტი“	23	8	9	6	26—20	25
„ავტომობ“.	23	11	2	10	27—32	24
„ყარაბ“.	23	9	6	8	27—21	24
„რუბინი“	23	9	6	8	27—25	24
„დინ“ ბ.	23	9	6	8	24—21	24
„დინ“. ზ.	23	8	8	7	27—20	24
„დინ“ კრ.	23	10	3	10	29—25	23
„ფასტ“.	23	10	3	10	25—28	23
„ტურბ“.	23	10	3	10	24—32	23
„ბალტიკ“.	23	9	5	9	29—24	23
„ტრაქ“.	23	10	2	11	24—33	22
„ლოკომოტ“.	23	9	4	10	33—36	22
„ურალ“.	23	9	4	10	29—31	22
„დინ“. ხ.	23	8	6	9	34—34	22
ფიზკ. ინსტ.	23	7	8	8	19—21	22
„დილა“	23	5	10	8	23—25	20
„ხაზარი“	23	6	4	13	18—37	16
„არაზი“	23	2	3	18	15—57	7

საით გაგიწევია, ვაქებო!

„მარტოდ დარჩენილი ვაჟა უსიამო ფიქრებმა შეიპყრო. მოყინულ ხელზე იკბინა. ვერაფერი იგრძნო. დაიწყო დაზელვა, როგორც იყო აამოძრავა, მერე თოკს მოჰკიდა ხელი და აიწია, მაგრამ უშედეგოდ. მკლავები არ ემორჩილებოდნენ. სიბნელეში კლდეს ძლივს არჩევდა... ხელით მოსინჯა მოსაჭიდი და ერთი ნაბიჯით აიწია. ყინულამდე ორიოდე მეტრი მანძილი რჩებოდა. შეისვენა, ზევიდან ჯემალის ძახილი მოესმა. ვაჟამ ასვლას დაუჩქარა და ფეხი გაუფრთხილებლად გადადგა. სიბნელეში ხელი ვერაფერს მოჰკიდა და ჩამოცურდა. მერე უფსკრულში ჩაეკიდა. ზევიდან კვლავ გაისმა ჯემალის ძახილი. ვაჟამ ამაოდ სცადა კუნთებზე აწევა, გაყინული ხელები თოკს ვერც კი ჩასჭიდა. ახლოდ იგრძნო ნამდვილი შიში. ასე დარჩენილს გაყინვით სიკვდილი ეშოდა. როგორ არ უნდოდა ეს მომხდარიყო. მოაგონდა, რომ სულ ორიოდე თვის წინათ სიკვდილს ნატრობდა, აქ კი, როცა შეუძლია თვალის დახამხამებაში, ოდნავ გამოხსნას თოკი, მცირე ბიძგი და მორჩა — აქ ყველა კიდურებით, მთელი სულით შეებრძოლა სიკვდილს. ნანობდა, მართალი გულით ლანძღავდა თავს მთაში წამოსვლისათვის. პირობას აძლევდა ყველას, იწყევლებოდა გულში, რომ ღმერთს (თუ იყო ასეთი!), ან რაიმე განგებას დაესაჯა უარესად, თუ კიდევ წამოვიდოდა. ან როგორ იფიქრა მაშინ სიკვდილზე, როცა სიცოცხლე ასე ტკბილი ყოფილა.

ვაჟა, კლდეზე ჩამოკიდებული, დონზეულ-ორუნის ჩრდილო კედელზე იღუპებოდა. უკვე მკაფიოდ შეიგრძნო, რაღაც უჩვეულო ხდებოდა მის ცხოვრებაში. ხელები ისტერიულად ჩაიწყო პირში და კბენდა, მერე „შტორმოვკას“ უხახუნა, ამდენმა ღელვამ და მოძრაობამ გაათბო. აშკარად გრძნობდა ნამდვილ შიშს. მოეჭიდა კაპრონს და ორჯერ აიწია კუნთებზე. ისევ მოეშვა. ჯიბეები ჩაავლო თოკს, ხოლო მარჯვენა ფეხის წვერით ოდნავ მიეყუდა კედელს. ორიოდე წუთი ასე ეკიდა. ვერაფერსა გრძნობდა, მერე რატომღაც გაახსენდა, რომ, როცა კბილი სტკიოდა პატარაობისას, დედა ლოყას ლოყაზე დაადებდა ხოლმე და ურჩენდა. თვალებზე ცრემლი მოადგა, თავს კვლავ პირობა მისცა, მთაში აღარასოდეს წამოვალო“.

შეუძლებელია ეს სტრიქონები ისეთ ადამიანს დაეწერა, რომელსაც თავად არ ეცლო მთაში, თავად არ დაეპყრო მწვერვალები და თავად არ განეცადა მსგავსი განსაცდელი. ამ ეპიზოდში საოცრად კარგად სჩანს ადამიანის ხასიათი, მისი ბუნება.

გურამ რჩეულიშვილს ორ ათეულამდე მწვერვალი დაუპყრია. პირველთანრიგოსანი იყო.

აი, სწორედ ამატომაა გურამის „ასვლა“ ერთობ საინტერესო. ამ მოთხრობაში საოცრად დამაჯერებლადაა აღწერილი მთამავლელთა განცდები, ფიქრები, სწრაფვა მწვერვალებისაკენ, სიცოცხლისაკენ. „ასვლაში“ არაა არცერთი ყალბი ფრაზა.

გურამს ტკივილებამდე უყვარდა მთები, მთის კაცები, მთის ყოფაცხოვრებაო. გეტყვიან გურამისაგან ნაცნობ-მეგობრები. ამასვე გეტყვიან მისივე თვითმყოფადი მოთხრობები: „ბათარეკა ჭიჭარაული“, „დევების ცეკვა“, „სიკვდილი მთაში“, „თვირთვილა“ და რა თქმა უნდა, „ასვლა“.

ალბათ, გურამს ფეხით რომ არ შემოვევლო მთელი საქართველო, მისი მთა-ბარი, რომ არ დაეპყრო მწვერვალები, ეს მოთხრობები იქნებ ვერც წაგვეკითხა. გურამის მოთხრობები, უპირატესად, ხომ ავტობიოგრაფიულია, რომლებშიც უშუალო შთაბეჭდილებებია ჩაქსოვილი.

„ასვლის“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირის მსგავსად ალბათ თვითონ გურამსაც ბევრჯერ დაუწყია იქ, მიუვალი მთების ქარაფების თავზე, საძილე ტომარაში სიცივისა და წვრის ყინისაგან ტრიალი. აკი თვითონ გურამს უთქვამს: „არ შემიძლია, ამდენი ვნახო და არაფერი დავწეროო“. წერდა კიდეც. წერდა ყველგან: მთებში ჩაკარგულ კარავში, მატარებლის კუპეში თუ უნივერსიტეტის აუდიტორიებში, ლექციებზე.

როგორც გიორგი შატბერაშვილი ამბობდა, „ამ მშობლიურ კლდეებს მოკვეთილი ლოდივით თვითმყოფი და თავისებური, უაღრესად თანამედროვე იყო გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება. მისი სიტყვა ამ ლოდივით მძიმე და აზრის დამტევი, სიტყვაში მოძრავი აზრი და ფიქრი ცინცხალი და თავისებური იყო, სხვისგან უთქმელი“.

ვინ იცის, რამდენს შეაყვარა გურამმა მთამსვლელობა თავისი „ასვლით“.

გურამ რჩეულიშვილი პირველად „ასვლით“ გავიცანი. „ასვლითვე“ გავეცანი პირველად ალპინიზმს. მაშინ ასე, თოთხმეტიოდე წლისა თუ ვიქნებოდი. სხვისი არ ვიცი და, როცა ამ მოთხრობას ვკითხულობდი, მისი ერთ-ერთი გმირივით მთამსვლელობაზე მეც ასე ვფიქრობდი: „არა, ძმაო, უმკურნალო, დონკიხოტობაა ასე უმიზნოდ აქ ხეტიალი. სად მოდიხარ, რა გინდა, ვის რას უკეთებ ეშმაკმა იცის. გიფასდებოდეს მაინც“.

მაგრამ ბოლოს, როცა „ასვლა“ ერთი ამოსუნთქვით ჩავიკითხე, აი, მაშინ კი შემიჩნდა ჭია. ოცნებად მექცა მთაში წასვლა.

...„ასვლის“ ფინალი: ვაჟამ და მისმა მეგობრებმა მწვერვალი დაიპყრეს. ბანაკშიც მშვიდობით დაბრუნდნენ. ვაჟა, ცოტა ხნის წინათ თავბედს რომ იწყევლიდა, მთაში რამ წამომიყვანაო, გახარებული უმალ გადაკოცნის მეგობარს, რომელიც ამცნობს, ტრავერსი დაამტკიცეს და ხვალზეით გავდივართო.

ასეთია მთამსვლელის ბუნება.

გურამ რჩეულიშვილს ორ ათეულამდე მწვერვალი დაუპყრია. პირველთანრიგოსანი იყო. ჩემპიონიც იქნებოდა, რომ დასცლოდა. მაგრამ იგი ხომ „ოქროს“ არ დაეძებდა მთებში. უბრალოდ, მთები და მშვენიერება უყვარდა. დაეძებდა და პოულობდა კიდეც.

ზღვაც ძალიან უყვარდა („ზღვა არც თუ ისე ღელავდა“, „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“, „ნელი ტანგო“, „ირინა“). ზღვასავე შეეწირა, ოღონდ ვაკაცურად. არც კი დაფიქრებულა, უმალ გადაეშვა აზვირთებულ ზღვაში უცნობი ადამიანის გადასარჩენად. გადაარჩინა კიდეც. ის კაცი შემდეგ შვეულმფრენით აიყვანეს. გურამი კი... პიონატში მონაწილეობის მისაღებად ჭიუხებს ესტუმრნენ. მაშინ დამბმარე ჯგუფის წევრებს განზრახული გვქონდა ერთ-ერთ უსახელო მწვერვალზე ასვლა და მისთვის გურამ რჩეულიშვილის სახელის დარქმევა.

სამწუხაროდ, მაშინ ვერ მოვახერხეთ იმ მწვერვალზე ასვლა.

და აი, წლეულს კვლავ ვესტუმრეთ ჭიუხებს საქართველოს ალპური კლუბისა და თბილისის უნივერსიტეტის მეალპინურთა სექციის წევრები და ზედ მისადგომებთან გავშალეთ კარვები. მთელი დღე ვაკვირდებოდით და ვსწავლობდით მარშრუტს. გადაწყდა, უსახელო მწვერვალზე ორ ჯგუფად ავსულიყავით მანამდე გაუცელი გზებით. წინასწარი ვარაუდით ერთი გზა 2 ბ, ხოლო მეორე 3 ბ კატეგორიის სირთულისა უნდა ყოფილიყო.

ლაშქრობა უთენია დავიწყეთ. ერთ ჯგუფში ოთხნი ვიყავით: სსრ კავშირის მეალპინურთა ექს-ჩემპიონი და პრიზიორი ირაკლი გელდიაშვილი, დავით ბაიდაური, თამაზ ხინჩლაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. ჩვენ ასვლას ირაკლი ხელმძღვანელობდა. მეორე ჯგუფში თოთხმეტი კაცი იყო. მათ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის მეალპინურთა ჩემპიონი და პრიზიორი, ალპინისტები შოთა მურვანიძე [illegible] ქალაქიაშვილი. შოთა გურამის შეგირდია ყოფილა. თოთხმეტკაციან ჯგუფში რჩეულიშვილის კიდევ ერთი მეგობარი, მწვრალი გურამ გეგეშიძე იყო.

რჩეულიშვილს, გეგეშიძესა და მირიანაშვილს, როგორც იტყვიან, ფუთი მარილი უჭამიათ ერთად. ბევრჯერ ერთად გაუტეხიათ გამხმარი პური, ერთად დაულაშქრავთ მწვერვალები, ერთად შეგებებიან აისს მთაში და გაუნაწილებიათ სიხარული თუ ტკივილები.

გეგეშიძე და მირიანაშვილი გვიამბობენ გურამზე. იხსენებენ გურამს და ჩვენც ვიხსენებთ მის მოთხრობებს. და თითქოს ჩვენთანაა გურამ რჩეულიშვილი. ვხედავთ მას, გვესაუბრება. ვესაუბრებით. თან მწვერვალისაკენ მიმავალ გზას მიეუყვებით.

ეჩეულოდ დიდი თოვლი მოსულა წლეულს და დასაწყისში სიარული ჭირს. — დროდადრო წელამდე ვეფლობით. რაც უფრო ზევით მივიწევთ, თოვლი სულ უფრო და უფრო მკვრივდება. ბოლოს კი ისე მაგრდება, რომ ნაფეხურები ძლივსღა ეტყობა. პლატოდან ჩვენი გზები იყრება. ოთხნი უმოკლესი, მაგრამ რთული „გზით“ — ჩრდილო-აღმოსავლეთის კონტრფორსით ვეუცევთ მწვერვალს. ზემოდან რამდენიმე ვერტიკალური კედელი გადმოგვყურებს. დანარჩენები მწვერვალს აღმოსავლეთიდან უვლიან. ვიდრე თოვლზე მივდივართ, გაკვალვაში ერთმანეთს ვენაცვლებით, კლდეებზე კი, ყველაზე რთულ მონაკვეთებზე წინ ირაკლი მიგვიძღვის.

— ფრთხილად ბიჭო, ფრთხილად! — ვამბნევებთ ფრიალო კლდეზე აკრულ ირაკლის. თუმცა, ჩვენი გაფრთხილება რად უნდა, თვითონაც კარგად იცის, რომ ფრთხილად უნდა იყოს.

საოცარი სანახავი იყო იმ დროს ირაკლი, როცა თითქმის მთლად ვერტიკალურ კლდეზე ხელის ფათურით ეძებდა ჩასაჭიდს. ძალე პოულობდა, კიდევ აიწევდა ზემოთ, შემდეგ ისევ ხელის ფათური, ორიოდე თითის ჩასაჭიდი... დროდადრო კლდეში პალოს ასობდა, კარაბინს კიდებდა და შიგ ძირითად თოკს უყრიდა. ჩვენ კი გულდასმით ვიცავდით მას. თან თვალს ვადევნებდით. წინა კაცი უკანას ხიდიაო და ირაკლის გავლილ „გზაზე“ ჩვენ უფრო გვიადვილდებოდა ასვლა. მით უმეტეს, ქარაფებს თავზე მოქცეული ახლა ის გვიცავდა ზემოდან.

შესვენებისას ქვემოთ, აღმოსავლეთის მხარეს ვიყურებოდით. თოთხმეტკაციანი ჯგუფი წერტილებივით მოჩანდა. დასავლეთის მხრიდან კი მაინვარწვერი ილანდებოდა. ნისლი ისე შემოხვეოდა გარს, როგორც მანდილი. შემდეგ ნისლი თანდათან ხეობებშიც ამოიპარა და არემარე დაფარა. მხოლოდ ჩვენ არ გვეკარებოდა.

— ყოფილხარ ასეთ სამიანზე?

— მეკითხება დათო. უარის ნიშნად თავს ვაქნევ.

— შენ თუ ყოფილხარ, თამაზ?

— არა!

— არც მე ვყოფილვარ! — ამბობს დათო და აგრძელებს, ეტყობა, შევცდით, ოთხიანი „ა“ ქნება.

მწვერვალზე რომ ავედით, ჩვენს გარდა ყველაფერი ისევ ნისლში იყო გახვეული.

ნიმიც მოვაბნეთ. აღმოჩნდა, რომ შოთას თოთხმეტკაციანი ჯგუფი ჩვენზე ადრე ამოსულა. თან ბარათი დაუტოვებიათ, მწვერვალს გურამ რჩეულიშვილის სახელა ვარქმევთო. იქვე მინაწერი იყო — ამომსვლელებს სოხოვდნენ, ჩვენი ბარათი აქვე დატოვეთო.

მწვერვალზე თოთხმეტკაციანმა ჯგუფმა სიურპრიზი დაგვიტოვა — ერთი ვაშლი. ოთხად გავყავით და ცოტა გაგვინელა წყურვილი.

ამ მწვერვალზე გურამ რჩეულიშვილიც ყოფილა. ნეტა რას ფიქრობდა მაშინ, როცა აქ იდგა. იქნებ მომავალ „ასვლებზე“, მწვერვალებზე... ან იქნებ, როცა აქედან გადაჰყურებდა ხევსურეთს, სწორედ მაშინ მოუვიდა თავში ეს ფრაზა:... „მხოლოდ ეს კუთხე გაუწირავთ ღმერთებს ციცაბო ფერდობებისა და ბასრი ჭიუხების ანაბრად“...

ა. გურასაშვილი.

• • •

სურათებზე: მწვერვალი „გურამ რჩეულიშვილი“. თვითონ გურამი.

საფრთხეზე ვიჯვეჯიტე

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

I ჯგუფი

„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „მზიური“ (გალი) 2:0. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

ჭანკვეტაძემ და დადუნაშვილმა (პენალტი) სტუმრების კარში ბურთები გაიტანეს მეორე ტაიმში.

„იბერია“ (ქარელი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:2. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:0. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

„ივერია“ (ხაშური) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 0:1. მსაჯი ზ. ზუმბაძე (ახალციხე).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ნადიკვარი“ (თელავი) 1:1. მსაჯი ლ. სიმონიშვილი (რუსთავი).

ასკ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

არმიელი რამიშვილის მიერ 25-ე წუთზე გატანილი ბურთი ერთადერთი გამოდგა ამ მატჩში.

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 3:3. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).

„მერცხალი“ (მახარაძე) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:1. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი).

ხავთასისა და სართანიას 2 გოლს წალენჯიხელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (ქვარაია).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

სტუმრების კარში ბურთი გატანილ იქნა 11-მეტრიანი დარტყმით (გაგნიძე).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).

II ჯგუფი

I ზონა

„გიგანტი“ (გამარჯვება) — ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) 0:1, „განთიადი“ (თბილისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 6:0, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „იორი“ (თიანეთი) 3:1, „ვარძია“ (ასპინძა) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 3:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „თრიალეთი“ (წალკა) 1:0, „სიონი“ (ბოლნისი) — „აბული“ (ახალქალაქი) 3:0, „განახლება“ (ადიგენი) — „არაგვი“ (მცხეთა) 2:0. ლაგოდეხის „ჰერეთს“ წაგება ჩაეთვალა გურჯაანის „ალაზანთან“.

II ზონა

„შუქურა“ (ქობულეთი) — „ნარუჯა“ (მახარაძე) 3:1, „სულორი“ (ვანი) — „სენაკი“ (ცხაკაია) 4:1, „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 0:0, „ავტომობილისტი“ (გაგრა) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 1:0, „გიგანტი“ (ლაითური) — „ოჯალეში“ (ბანძა) 3:3.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 5 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლხ“. ფ.	23	14	6	3	46—17	34
„მზიური“	23	14	5	4	36—19	33
„მეშახტე“	20	14	4	2	29—8	32
„მეტალ“. რ.	22	14	4	4	34—16	32
„მერცხ“.	22	11	8	3	33—15	30
„ენერგეტ“.	23	10	6	7	31—26	26
ასკ თბ.	24	9	8	7	28—23	26
„მაღარ.“	20	11	3	6	37—27	25
„კოლხ.“ ხ.	24	8	9	7	20—21	25
„სპარ“. თბ.	22	9	6	7	30—22	24
„ჩიხურა“	22	9	5	8	25—20	23
„ამირანი“	24	8	6	10	22—30	22
„ივერია“ ხ.	24	7	7	10	16—26	21
ფიზკ. ინსტ.	23	9	3	11	26—39	21
პოლ. ინსტ.	24	9	2	13	31—36	20
„მეტალ“. ზ.	23	6	7	10	29—31	19
„სქური“	25	7	5	13	33—36	19
„ნადიკვარი“	23	5	9	9	25—30	19
„სალხინო“	23	5	8	10	24—42	18
„ეგრისი“	24	4	8	12	17—30	16
„დურუჯი“	24	7	2	15	17—38	16
„სპარ“. ცხ.	22	4	7	11	23—30	15
„იბერია“ ქ.	24	4	4	16	18—48	12

ფეხბურთი

„ტყავის ბურთის“ პრიზზე

გორი

ნორჩ ფეხბურთელთა ტრადიციული გათამაშების ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ქალაქის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების გუნდებმა. წარმატება წილად ხვდათ მეორესკოლელებს, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

3 ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა „ტყავის ბურთის“ გათამაშება გორის რაიონში. უმცროს ასაკობრივ ჯგუფში წარმატება მოიპოვეს კარალეთელებმა, საშუალოში — ატენის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, ხოლო უფროს ასაკში — ატენის სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა.

ი. თევდორაძე.

საჩხერე

საჩხერის ნორჩმა ფეხბურთელებმა წარმატებით იასპარეზეს ზესტაფონში გამართულ ზონალურ შეჯიბრებაში „ტყავის ბურთის“ პრიზზე და მოიპოვეს პირველობა (მწვრთნელები ი. მღებროვი და ჯ. მიქაძე).

ა. ანასაშვილი.

საუკეთესო ბეჯითები

გაფრთხილებული არიან შემდეგი ფეხბურთელები: ზ. კალანდაძე („განთიადი“, თბილისი), დ. დაუშვილი (ასკ. თბილისი), მ. მერაბიშვილი და ო. ქირია (ორივე — „ეგრისი“ ცხაკაია).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

კალათბურთის მოყვარულებისთვის კარგადაა ცნობილი სახელოვანი ლატვიელი კალათბურთელის იან კრუმინშის სახელი, რომელიც წლების განმავლობაში სსრ კავშირის ნაკრებში თამაშობდა. ამჟამად დიდი იანი (სიმაღლე — 218 სმ) ლატვიის სამხატვრო ფონდის დეკორატიული ხელოვნების კომბინატში მუშაობს.

სურათზე: იან კრუმინში ოჯახთან ერთად თავის ეზოში.

საკ.ფოტო.

ჩიბურდანიძეც ითამაშებს

სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციული ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი წლეულს (11 ივლისი — 2 აგვისტო) ვილნიუსში ჩატარდება. კლუბის ხელმძღვანელობამ საასპარეზოდ 16 ცნობილი საბჭოთა და საზღვარგარეთელი დიდოსტატი და ოსტატი მიიწვია.

სარბიელზე გამოვლენ დიდოსტატები — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, სსრ კავშირის ჩემპიონები ბ. გულკო (ორივე — მოსკოვი) და ი. დორფმანი (ლვოვი), ვ. ტუქმაკოვი (ოდესა), უხუცესი ლიტველი საერთაშორისო ოსტატი ვ. მიკენასი. უცხოელთაგან ბრძოლაში ჩაებმებიან დიდოსტატი ი. ჩომი (უნგრეთი), საერთაშორისო ოსტატი კ. კიმაური (შვეცია) და სხვები.

ტურნირში ითამაშებს აგრეთვე ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტი, სსრ კავშირის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე.

ჭადრაკი

ახალგაზრდა დიდოსტატი ქალი პირველად მიიღებს მონაწილეობას ესოდენ ძლიერ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში. მისი მწვრთნელის, დიდოსტატ თ. გიორგაძის განცხადებით ვილნიუსში მაიას თამაში მსოფლიო ჩემპიონ, დიდოსტატ ნ. გაფრინდაშვილთან მატჩისთვის (ბიშვნინთა, 19 აგვისტო) მზადების გეგმითაა გათვალისწინებული.

ტურნირის მთავარი მსაჯია საერთაშორისო არბიტრი ვ. დვორკოვიჩი (მოსკოვი).

ცურვა

ბერლინში გდრ-ის მოცურავეთა ჩემპიონატზე კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. 17 წლის ბერლინელმა მოსწავლე გოგონამ, მონრეალის ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ა. პოლაკმა 100 მეტრი ბატერფლაით 59,46 წამში დაფარა. ეს შედეგი 0,32 წამით უკეთესია მისივე თანამემამულის კ. ენაკეს წინანდელ რეკორდზე. სხვათა შორის ენაკე მსოფლიოში პირველი სპორტსმენია, რომელმაც ცურვის ამ სახეობაში წუთზე ნაკლები დრო აჩვენა.

მშვილდოსნობა

კლაიპედაში გრძელდება მშვილდოსანთა საკავშირო ჩემპიონატი. შეიარაღებული ძალების ქალთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. კოვანი, ნ. ბუტუზოვა და ე. გაჩენკო ორი დღის მანძილზე 3796 ქულა მოაგროვა, რაც 24 ქულით აღემატება მსოფლიო რეკორდს, რომელიც ასევე საბჭოთა ნაკრებმა პოლონეთის ქალაქ ოპოლეში ამას წინათ დაამყარა.

ორი დღის მერე ქალთა შორის ლიდერობს ლვოველი კოვპანი, რომელსაც 1280 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან ტაშკენტელები ბუტუზოვა (1271 ქულა) და ო. როგოვა — 1259. ვაჟთა შეჯიბრებაში კვლავ წინ არის ჩიტელი ვ. ეშეევი — 1283. მას 17 ქულით ჩამორჩება ბაქოელი ვ. მაქსიმოვი და 23 ქულით ოდესელი გ. კირიჩენკო.

კალათბურთი

კალათბურთელ ვაჟთა საბჭოთა ნაკრებმა გუნდმა გაიმარჯვა მექსიკის კალათბურთის ფედერაციის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში. ფინალურ შეხვედრაში მან მოუგო აშშ-ს გუნდს — 93:56. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს კიეველი ბელოსტენნი, რომელმაც გუნდს 17 ქულა მოუტანა. II ადგილზე გავიდა მექსიკის ნაკრები, ხოლო III — ამერიკის გუნდი.

ხელბურთი

„იუგოსლავიის თასის“ გათამაშებაში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა II ადგილი დაიკავა. მან 7 ქულა მოაგროვა (3 გამარჯვება, თითო ფრე და დამარცხება). გაიმარჯვეს მასპინძლებმა, რომლებმაც საბჭოთა ხელბურთელებზე ქულით მეტი დააგროვეს. ბოლო ტურში იუგოსლავიელებმა წაგეს საბჭოთა ხელბურთელებთან 14:16. ექვსი ქულით მესამე ადგილზე გავიდნენ შვეიცარიელები, რომელთა აქტიებია გამარჯვებები სსრ კავშირის, უნგრეთისა და პოლონეთის გუნდებთან. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს საბჭოთა ხელბურთელი ვ. ბელოვი.

საჭიროა თუ არა ასეთი „თავგზაგულამხვევი“ რეკორდი?

ბრიუსელი. უჩვეულო მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბელგიის ქალაქ ხერსტალის მცხოვრებმა ლუი ჟერარმა. ქალაქ როკურის ველოდრომზე 80 საათისა და 20 წუთის განმავლობაში მან ველოსიპედით 1210 წრე (552,970 კილომეტრი) გაიარა. შეუსვენებლივ.

უნდა აღინიშნოს რომ ეს მისი „მსოფლიო რეკორდზე“ იერიშის მეტანოს მეორე ცდა იყო. 1977 წლის სექტემბერში ლუი ჟერარმა ველოსიპედით 53 საათის და 17 წუთის განმავლობაში იარა. უწინდელი მსოფლიო რეკორდი 1965 წლიდან ეკუთვნოდა კოლუმბიელ ნავეს (78 საათი).

„რეკორდის“ დამყარების შემდეგ ქანცგაწყვეტილი სპორტსმენი ხელში ჩაუვარდა ექიმებს, რომლებიც თვლიან, რომ ასეთი სარეკორდო გარბენი, რბილად რომ ითქვას, ხელს არ უწყობს ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებას. (საკ.).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

„არ ვიცი ჩემი შესაძლებლობანი...“



სურათზე: გ. რაბშტინი რეკორდის დამყარების შემდეგ.

საკ.ფოტო.

ვარშავა. „როგორც ჩანს, თავად ყარგად არ ვიცი ჩემი შესაძლებლობანი“, — ასე დაიწყო საუბარი 100 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიო რეკორდსმენმა გრაჟინა რაბშტინმა. სულ ახლახან გრაჟინამ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი ამ დისტანციაზე — 12,43, ხოლო ზუსტად ნახევარი წლის წინ, მასთან ჩვენი ბოლო შეხვედრისას, გრაჟინამ თქვა, რომ პრაღის ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებისთვის საკმარისი იქნება — 12,70, ხოლო მოსკოვის ოლიმპიადაზე 12,55 წამის ჩვენება. „მე და ჩემს მწვრთნელს ს. ნოვაკს დაგეგმილი გვქონდა ამ ზაფხულს მივეღწია 12,60 წამისთვის, ხოლო პრაღაში მთელი ძალა გამომეელინა. მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა და ახლა მე მაწევს მსოფლიო რეკორდსმენის „ტვირთი“. წლეულს იანვარში დავამთავრე დაგეგმვისა და სტატისტიკის მთავარ სკოლაში მშენებლობის ეკონომიკის ფაკულტეტი. სწავლასთან დაკავშირებული საზრუნავი არა მაქვს და მთელ დროს ვარჯიშს დავუთმობ“.

— 12,48 ჩემი შესაძლებლობის ზღვარი არ არის, — განაგრძო მან, — და უკვე ამ სეზონშივე ვეცდები ამის დამტკიცებას.

— ახლა თარჯრბენში შეიქმნა სამი ტანდემი: კლირი გდრ-ში და კემპინგი — გფრ-ში, ლებედევა და ანისიმოვი — სსრ კავშირში, ნოვაკოვსკა და მე — პოლონეთში. ეს სპრინტერული წყვილები სხვა მეტოქეთაგან ბევრად გამოირჩევიან და ამიტომ ყველა დიდი შეჯიბრების პრიზიორები მათ შორის უნდა ვეძებოთ. (საკ.).

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380006, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-53; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; საშახტვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამოშვება — 93-95-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-51.